

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/03. 30.01.2019

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი

სპირიდონი

„განხილულია“

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ოქმი № 02-03-06/01. 26. 01. 2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

ქართველური ენათმეცნიერება

კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის
პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები:
პროფესორი – ელზა ფუტკარაძე
პროფესორი – მედეა რიჟვაძე

ხიჭაური 2019

1. პროგრამის სახელწოდება: ქათველური ენათმეცნიერება

2. განათლების საფეხური: მაგისტრატურა

3. კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი

4. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი: მათ შორის 80 კრედიტი

ეთმობა ძირითად სპეციალობას, 10 კრედიტი – არჩევით დისციპლინებს, 30 კრედიტი – სადიპლომო ნაშრომს.

5. სწავლების ენა: პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე.

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ქართულ სალიტერატურო ენას მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიცია აქვს და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიოს უძველეს ენათა შორის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი ზოგადენათმეცნიერული ასპექტით შესწავლა. ეს ბუნებრივიცაა, ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსების საკითხია ეროვნული ენის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამაც ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება.

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ქართული ენის კვალიფიციური სპეციალისტები. კერძოდ, მაგისტრანტებს საფუძვლიანად შეასწავლოს ძველი და ახალი სალიტერატურო ენის, ქართული ენის დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები. განუვითაროს დიალექტურ ტექსტებზე მუშაობის უნარი, ანალიტიკური აზროვნება, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა და მეცნიერული კვლევის უნარი, გააცნოს ენათმეცნიერული კვლევის თეორიები და შედეგები.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას ლინგვისტურ სივრცეში. ამით კი ხელს შეუწყობს ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას და ქართული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდას. რაც, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმებას, მეორეს მხრივ კი – ახალგაზრდების მოზიდვას უნივერსიტეტში და მათ ჩამოყალიბებას კვალიფიციურ სპეციალისტებად.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც ძირითადი ენათმეცნიერული პრობლემების მცოდნე სპეციალისტს (რომელმაც კარგად იცის ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველური კილოების ძირითადი თავისებურებანი), შეეძლება იმუშაოს:

- უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის (და ლიტერატურის) მასწავლებლად, (განათლების მიმართულებით სათანადო დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ); საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- სახელისუფლებო და კერძო ორგანიზაციის სტრუქტურებში;

- ქართული ენის სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობაში, რედაქციასა და სხვა მსგავს დაწესებულებაში.

აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე. საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე, სტუდენტის პიროვნული და პროფესიული განვითარების ზრუნვაზე.

სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საბაკალავრო განათლება და სურთ გაიღრმავონ ცოდნა ქართველურ ენათმეცნიერებაში.

7. სწავლების ფორმატი:

სწავლა წარმართება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკულების ფორმატით.

8. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. გამოცდების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდა.

9. სწავლების შედეგები

მაგისტრატურის სწავლის შედეგები		
კრიტერიუმები	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს</p>	<p>ეცოდინება: ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების ისტორია, ქართული ენათმეცნიერული აზროვნების უძველესი ტრადიციები, მე-19-20 საუკუნეების გრამატიკოსთა ენათმეცნიერული შეხედულებანი;</p> <p>სახელთა თავისებურებანი, ბრუნვისა და რიცხვის ნიშანთა გენეზისის, სახელთა ბრუნების, სახელის ბრუნვათა რიგში მომხდარი ცვლილებები და ბრუნვათა ფუნქციები, ადამიანთა საკუთარ სახელებში მორფოლოგიური ცვლილებების, თანდებულიანი ფორმების, სახელის ფუძის დერივაციული მოდელისა და ფუძის დეტერმინანტ სუფიქსებთან დაკავშირებული საკითხები;</p> <p>ზმნურ ფორმათა წარმოების ყალიბი, ზმნურ კატეგორიათა ფორმირების და წარმოების საკითხები, გრამატიკული კატეგორიების დიაქრონიული ასპექტები; ზმნის კონსტრუქციები, ქართული ენის დეფექტურ ზმნათა პარადიგმატიკული სისტემა, მათი გაჩენის საფუძველი და განვითარების ზოგადი კანონზომიერებები;</p> <p>ქართველური დიალექტების ფონემატური სტრუქტურა; ქართველური ქვესისტემების საერთო მახასიათებლები და თავისებურებები; ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხები; ქართველური ქვესისტემების მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი;</p> <p>აჭარული და ტაო-კლარჯული კილოების მთავარი ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკური თავისებურებანი და ტაო-კლარჯული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის</p>

		<p>საკითხი;</p> <p>სახელწმინდის გრამატიკული ფუნქციები; მათი მოდელების ცვლა ზმნური კატეგორიების მიხედვით;</p> <p>სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები და უნივერსალები საკუთარ სახელთა კატეგორიებში, ონიმთა წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი;</p> <p>ქართული ენის წინადადების თავისებურება, შესიტყვების შედგენილობა, სტრუქტურა, მარტივი წინადადების განვითარების, რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების აგებულებისა და შედგენილობის საკითხები;</p> <p>ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკვანძო საკითხები, უმნიშვნელოვანესი ცნობები ქართული ლექსიკური ფონდის შედგენილობის, საკუთარი და შეთვისებული ლექსიკის შესახებ;</p> <p>ქართველ მწერალთა სიტყვათმომოქმედებითი მემკვიდრეობის ობრივი თავისებურებები;</p> <p>ინგვისტური ტრადიციის, სემიოტიკური სივრცის სტრუქტურისა და კანონზომიერების საკითხები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით</p>	<p>შეძლება: ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიისა და გრამატიკოსთა ენათმეცნიერულ შეხედულებათა შესახებ მსჯელობა;</p> <p>სახელების ბრუნების, სახელთა ფუძეში მომხდარი ცვლილებების მორფოლოგიური ანალიზი, სახელების ბრუნებისა და ბრუნვათა ფუნქციების განსაზღვრა;</p> <p>ზმნის გრამატიკულ კატეგორიებთან დაკავშირებული თავისებურებების გამოკვეთა და ანალიზი როგორც სინქრონული, ისე დიაქრონიული ასპექტით; ქართული ზმნის კონსტრუქციების მორფოლოგიური ანალიზი;</p> <p>ქართველური დიალექტოლოგიის, ცალკეული კილოების თავისებურებათა შესახებ მსჯელობა;</p> <p>აჭარული და ტაო-კლარჯული კილოების გრამატიკულ თავისებურებათა განსაზღვრა;</p> <p>ქართული ენის ფონემატური ბუნებისა და ფონეტიკურ თავისებურებათა განსაზღვრა;</p> <p>სახელწმინდურ სიტყვათა ფორმოზრვიად და ფუნქციურად გაანალიზება; დიალექტურ და არქაულ სახელწმინდათა გამიჯვნა;</p> <p>ქართველური ონიმების მეცნიერული ანალიზი, საკუთარ სახელთა კავშირი ისტორიულ მოვლენებთან და პროცესებთან;</p> <p>მარტივი, შერწყმული, რთული წინადადების სინტაქსური ანალიზი;</p> <p>ლექსიკონებთან დაკავშირებული საკითხების სწორად შეფასება, ანალიზი, ლექსიკოგრაფიის ენობრივ წყაროთა სრულყოფილი გამოვლენა;</p>

		<p>მწერლის ენისა და სტილის თავისებურებათა შესახებ მსჯელობა;</p> <p>კონკრეტული ენის და საკომუნიკაციო სიტუაციის სემიოტიკურად გაანალიზება და შეფასება;</p> <p>კონკრეტული ლინგვისტური კონცეფციის, თეორიის თუ დებულების დამოუკიდებლად კვლევის განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით;</p> <p>სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, საკამათო საკითხებზე დისკუსია, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათი, საკუთარი პოზიციისა თუ თვალსაზრისის ნათლად წარმოდგენა, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა.</p>
დასკვნის უნარი	<p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი</p>	<p>შედეგა: ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიის, ზმნური კატეგორიების, სახელის მორფოლოგიური თავისებურებების, ისტორიული დიალექტოლოგიის საკვანძო საკითხების, აჭარული და ტაო-კლარჯული დიალექტების, ქართველური ფონემატური ბუნების, ქართული ენის წინადადების თავისებურებათა, მწერალთა სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენისა და სტილის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, ლინგვოსემიოტიკისა და ლინგვისტურ მოძღვრებების შესახებ არსებულ შეხედულებათა ერთმანეთთან შედარება- შეპირისპირება, საკუთარი შეხედულებისა და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, ლინგვისტური ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით</p>	<p>ენათმეცნიერულ საკითხებთან დაკავშირებით აქვს არგუმენტირებული კომუნიკაციის უნარი, შეუძლია თავისი დასკვნების წარდგენა პროფესიულ და საკითხით დაინტერესებულ აუდიტორიასთან;</p> <p>აქვს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა შემოქმედებითად გამოყენების უნარი.</p>
სწავლის უნარი	<p>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე</p>	<p>აქვს ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის საკვანძო საკითხთა შესახებ ახალი ცოდნის მიღების, შეთვისებისა და გადამუშავების, ასევე, სპეციალური ლიტერატურის გამოყენების, დამოუკიდებლად სწავლის და თვითშეფასების უნარი;</p> <p>გამოუმუშავდება სწავლის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი.</p>

<p>ღირებულებები</p>	<p>ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>	<p>იგი ქართული ენის, როგორც კულტურული მონაპოვრის მნიშვნელობა მსოფლიო ცივილიზაციის სივრცეში, ასევე, ქართული ენის როლი, როგორც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორისა, გაცნობიერებული აქვს და პატივს სცემს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს, აქვს გამომუშავებული მოქალაქეობრივი შეგნება და შეუძლია სხვისი ღირებულებების შეფასება.</p>
---------------------	--	---

10. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების შესწავლისას, სწავლის შედეგების მისაღწევად, იმისათვის, რომ მაგისტრმა მიიღოს ფუნდამენტური ცოდნა ქართველურ ენათმეცნიერებაში, შეიძინოს შეასაბამისი უნარ-ჩვევები, თავადაც დასვას ახალი პრობლემები, მონახოს მათი გადაჭრის გზები და დამოუკიდებლად შეძლოს მეცნიერული საკითხების კვლევა, პროგრამაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:

გონებრივი იერიში – გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

დისკუსია/დებატები– დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში როგორც წერიით, ასევე ზეპირი ფორმით.

ინტერაქტიული ლექცია, რაც გულისხმობს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობასა და აქტივობას ლექციის პროცესში.

დემონსტრირების მეთოდი – ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია მასალა მულტიმედიური მეთოდით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შეიძლება განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გაგებადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. შესაძლებელია მასალის ელექტრონული გზით მიწოდება. გრამატიკული მასალის ახსნის პროცესში ეფექტურია სქემებისა და დიაგრამების შედგენა (ვენის დიაგრამა, თევზის ჩონჩხი და სხვა).

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, სტუდენტი შეძენილი ცოდნისა და პროფესორის კონსულტაციის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობებს, როგორცაა პრეზენტაციის მომზადება, ტექსტებზე დაყრდნობით ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება და გამოვლენა, სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და ა.შ.

გამოყენებული იქნება შემდეგი ტრადიციული ლოგიკის მეთოდები (ინდუქცია, დედუქცია):

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებითი განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ანალიზის მეთოდი** გვებმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი – გულისხმობს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - სტუდენტებთან ერთად ლექციაზე კონკრეტული შემთხვევები ს განხილვა საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესასწავლად.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სალექციო თემის ძირითადი დებულებების ჩანიშვნასა და კონსპექტის შედგენას.

ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი.

წიგნზე მუშაობის მეთოდი.

პრეზენტაცია.

ზეპირი გამოკითხვა.

11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

a. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

b. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობით: სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობით, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.

c. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.

d. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს. სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების რამდენიმე კომპონენტის გამოყენებით, რომლებიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

e. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერითი ან/და ზეპირი ფორმით, გარდა წერითი და ზეპირი შეფასებისა, კურსის საჭიროების შესაბამისად, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.

f. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები: ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 20 ქულით; ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.

გ. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა.

h. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

i. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:

დადებითი შეფასებები:

- ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;
- ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
- ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

11. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–40 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ აღწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, გადმოცემის უნარი–15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). მისი გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

12. სასწავლო გეგმა – იხ. დანართი 1.

13. სწავლის შედეგების რუკა – იხ. დანართი 2.

14. სამაგისტრო ნაშრომი - შესრულებისა და დაცვის წესი იხ. წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი XVII.

15. ადამიანური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შემდეგი აკადემიური პერსონალი:

- 1. ელზა ფუტკარაძე – ფილოლოგიის დოქტორი (სახელი ქართულში I-II , ქართული ენის ზმნა I-II, ქართული ენის წინადადება, აჭარული და ტაო-კლარჯული კილოები).

2. მედეა რიჟვაძე – ფილოლოგიის დოქტორი(ქართველური ონომასტიკა, სახელწმინა, ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი–ისტორიული დიალექტოლოგია I-II, ზმნურ კატეგორიათა ისტორია ქართულში).
3. თალიკო ბერიძე – ფილოლოგიის დოქტორი(ლექსიკოგრაფია, მწერლის ენა და სტილი, ქართველური ფონემატური სტრუქტურა–ისტორიული ფონეტიკა, ლექსიკოლოგია).
4. ლევან ხალვაში – ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, ლინგვოსემიოტიკა).
5. იაშა თანდილავა–ფილოლოგიის დოქტორი,ქართული ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორია.
7. თამილა ჩურკვეიძე – განათლების დოქტორანტი (უცხო ენა–ინგლისური).

16. მატერიალური რესურსი:

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტს ბიბლიოთეკით, საკონფერენციო დარბაზით, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების პრეზენტაცია შესაძლებელია პროექტორის გამოყენებით, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით.

სასწავლო გეგმა												
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება					კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				ლექცია	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი
	სასწავლო კომპონენტები	80										
1	ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების ისტორია	5	125	14	14	2	5	90	5			
2	ქართული ენის ზმნა-I	5	125	14	14	2	5	90	5			
3	სახელი ქართულში-I	5	125	14	14	2	5	90	5			
4	ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი-I (ისტორიული დიალექტოლოგია)	5	125	14	14	2	5	90	5			
5	ლექსიკოლოგია	5	125	15	13	2	5	90	5			
6	ინგლისური ენა, C1-1	5	125		28	2	5	90	5			
7	ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი-II (ისტორიული დიალექტოლოგია)	5	125	15	13	2	5	95		5		
8	სახელი ქართულში-II	5	125	14	14	2	5	95		5		
9	ქართული ენის ზმნა-II	5	125	14	14	2	5	95		5		
10	ქართველური ფონემატური სტრუქტურა (ისტორიული ფონეტიკა)	5	125	15	13	2	5	95		5		
11	სახელზმნა	5	125	13	15	2	5	90		5		
12	ინგლისური ენა, C1-2	5	125		28	2	5	90		5		
13	ზმნურ კატეგორიათა ისტორია ქართულში	5	125	13	15	2	5	90			5	
14	აჭარული და ტაო- კლარჯული კილოები	5	125	14	14	2	5	90			5	
15	ქართული ენის წინადადება	5	125	14	14	2	5	90			5	
16	ქართველური ონომასტიკა	5	125	13	15	2	5	90			5	
	არჩევითი საგნები	10									10	
17	ლექსიკოგრაფია		125	15	13	2	5	90				
18	მწერლის ენა და სტილი		125	15	13	2	5	90				
19	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია		125	15	13	2	5	90				
20	ლინგვოსემიოტიკა		125	15	13	2	5	90				
21	სამაგისტრო ნაშრომი	30	750		30		2	718				30
	სულ	120							30	30	30	30

სწავლის შედეგების რუქა								
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების ისტორია	5	+	+		+		
2	ქართული ენის ზმნა-I	5	+	+	+		+	
3	სახელი ქართულში-I	5	+	+	+		+	
4	ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი-I (ისტორიული დიალექტოლოგია)	5	+	+	+		+	
5	ლექსიკოლოგია	5	+	+		+		+
6	ინგლისური ენა,C1-1	5	+	+	+	+	+	+
7	ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი-II (ისტორიული დიალექტოლოგია)	5	+	+	+			
8	სახელი ქართულში-II	5	+	+	+			
9	ქართული ენის ზმნა-II	5	+	+	+		+	
10	ქართველური ფონემატური სტრუქტურა (ისტორიული ფონეტიკა)	5	+	+	+	+	+	+
11	სახელზმნა	5	+	+			+	
12	ინგლისური ენა,C1-2	5	+	+	+	+	+	+
13	ზმნურ კატეგორიათა ისტორია ქართულში	5	+	+	+	+		
14	აჭარული და ტაო- კლარჯული კილოები	5	+	+	+			
15	ქართული ენის წინადადება	5	+	+	+		+	
16	ქართველური ონომასტიკა	5	+	+	+		+	
	არჩევითი საგნები	10						
17	ლექსიკოგრაფია	5	+	+		+	+	+
18	მწერლის ენა და სტილი	5	+	+	+	+	+	+
19	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	5	+	+	+	+	+	+
20	ლინგვოსემიოტიკა	5	+	+	+	+	+	+
21	სამაგისტრო ნაშრომი	30	+	+	+	+	+	+